პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 262 (19104) ხუთშაბათი, 15 ნოემბერი, 1984 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესია 1984 წლის 15 დეკემბერს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 14 ნოემბერი.

დიდი პასუხისმგებლობა — ყოველ უბანზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომა

[illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

[illegible]

მაღალი შეფასება

[illegible]

სიტყვას ვაძლევთ მშენებლებს

[illegible]

წლის ფინიში — დამკვრელური შრომა!

იჯარული მეთოდის ეფექტი

[illegible]

ჩვენი ღირსების საქმე

[illegible]

ამხანაგ დანიელ ორტეგა საავედრას

[illegible]

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ქუთაისის ავტოქარხნის მარკით

წლეულს ქუთაისის საწარმოო გაერთიანების საავტომობილო ქარხნის კოლექტივი გამოუშვებს აგროსამრეწველო კომპლექსის საჭიროებისათვის განკუთვნილ ახალ ავტომატარებელს.

ავტომატარებელი განკუთვნილია სოფლის მეურნეობისათვის, ესადაგება სოფლად მუშაობის პირობებს. 160-ცხენისძალიანი დიზელის ძრავა ჩინებული დინამიკური თვისებებით ხასიათდება, ორიგინალური გადაცემათა კოლოფი მძღოლს საშუალებას აძლევს განავითაროს ნებისმიერი სიჩქარე. ქუთაისის ავტომშენებელთა პირმშო გამოიყენება თვითსაცლელის მისაბმელთან ერთად და შეუძლია დაახლოებით თერთმეტი ტონა ტვირთის გადაზიდვა.



სურათებზე: უბნის შემკეთებელი ზეინკალი, მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრი იაკობ სურმავა; ქუთაისის ავტოქარხნის დიზელიანი ძრავების საამქროს ალუმინის დეტალების უბანი.

ბ. მერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტყიბული მარმარილო

ლენტეხი. (საკ. კორ.). ტვიბის მარმარილოს საბადო ამ ბოლო ხანს ყურადღების ცენტრშია. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად აქ შენდება ქარხანა, რომელიც თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება.

სულ ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა მშენებარე ქარხნის ერთი საამქრო, რომელმაც დაიწყო მარმარილოს ნაშეცეის გამოშვება. ამ პირველ პროდუქციას აქვე, ქარხნის კორპუსის მშენებლობაზე იყენებენ. მშენებლობის დამთავრება და მისი მთელი საპროექტო სიმძლავრით ამუშავება წლის დამლევისათვის არის გათვალისწინებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1984 წლის 14 ნოემბერს, 46 წლისა, ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი

ომარ შალვას ძე ხიზანიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისაგან

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1984 წლის 14 ნოემბერს, 46 წლისა, ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი

ომარ შალვას ძე ხიზანიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის გლდანის რაიკომის პირველი მდივნის ო. შ. ხიზანიშვილის დამკრძალავი კომისია, რომელშიც შედიან: გ. დ. გაბუნია (თავმჯდომარე), ჭ. ჭ. შარტავა, ი. ო. ანდრიაძე, ა. თ. გოცირიძე, ნ. ა. ჟვანია, ა. ი. ინასარიძე, ი. ს. მეიშვილი, მ. პ. ნიკოლაიშვილი.

ო. შ. ხიზანიშვილის დაკრძალვის სარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი

ერთ წელზე ცოტა მეტი დრო გვაშორებს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობის მოვლენად ქცეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმიდან. ისიც კარგად მოგეხსენებათ, თუ რაოდენ დიდი ამოცანები დაუსახა პლენუმმა ჩვენს პრესას, ტელევიზიასა და რადიოს. ამის თაობაზე იყო სჯა-ბაასი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე, ამიტომ დღეს საუბარი გვექნება იმაზე, თუ რა გავაკეთეთ ამ ხნის მანძილზე, როგორ შევასხით ხორცი დასახულ ამოცანებს და უმთავრესად იმის თაობაზე, თუ რის გაკეთება ვერ შევძელით და რა უნდა გავაკეთოთ სამომავლოდ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ განვლილ პერიოდში რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობაში თავი იჩინა ხელშესახებმა დადებითმა ძვრებმა, გაიზარდა მათი ოპერატიულობა, კომპეტენტურობა, ქმედითობა, იმატა მწვავე პუბლიცისტურმა გამოსვლებმა, გაძლიერდა პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ორგანიზატორული ფუნქცია. პრაქტიკულად არც ერთი ეკონომიკური ექსპერიმენტი, რესპუბლიკის მოწინავე კოლექტ...

...რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენასა თუ ფაქტს, უფრო მეტიც, მათ საყოველთაო მასშტაბით დააყენეს რესპუბლიკის წინაშე მდგომი არაერთი საჭირბოროტო პრობლემა; რითაც ხელი შეუწყვეს ამ პრობლემათა მოგვარებას. ეს მიღწევები უდავოა. და მაინც უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სრულად ვერ იყენებენ თავიანთ, თამამად შეიძლება ითქვას, განუსაზღვრელ შესაძლებლობებს, მიღწეულით დაკმაყოფილება კი ყოვლად დაუშვებელია, რადგან გაზეთის, რადიოს ტელევიზიის ბუნება ვერ იტანს ერთ ადგილზე ტკეპნას. მათთვის მებრძოლი, შემტევი სულისკვეთების არა თუ დაკარგვა, შენელებაც დაუშვებელია. ისინი თითქოს დასჭირდნენ მიღწეულს, ერთგვარად შეურიგდნენ თუ შეეგუენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით პარტიული გაზეთები და ტელევიზია მოწოდებულნი არიან გაამძაფრონ, გაამწვავონ ბრძოლა არსებული ნაკლოვანებების, ლამაშავეობის, ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის წინააღმდეგ, და ეს ბრძოლა სისტემატური, ყოველდღიური ხა...

...მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ის არის, რომ რედაქციები სუსტად არიან ინფორმირებულნი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების...

მართალი სიტყვის დიდი სამსახური

გ. ენუქიძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

განვითარების წამყვანი ტენდენციებისა და პერსპექტივების შესახებ. მიმდინარე და პერსპექტიული პროგრამების შემუშავებისას რედაქციები ყოველთვის სრულად როდი ითვალისწინებენ მუშაობის მიმართულებებსა და რესპუბლიკის დირექტიული ორგანოების ოპერატიულ დავალებებს. გაზეთების ფურცლებზე, ტელერადიო გადაცემებში რეგუ...

...კერძო, პიროვნული. ჩვენმა უპასუხისმგებლობამ, გვიან და არაკეთილსინდისიერად შესრულებულმა დავალებამ შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს ჩვენს საერთო საქმეს.

მართალია, ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი სათანადო ყურადღებას უთმობენ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველ...

...ჰებს ახალგაზრდებს და, ალბათ, არა მარტო მათ.

სამწუხაროდ, ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში ვერ გვეხმარება ჩვენი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, რომელ...

...ლი შეცდომა დაუშვეს ტელევიზიის პროგრამების დირექციის მუშაკებმა, რომლებმაც კინაღამ ჩაშალეს დაგეგმილი და პროგრამაში გამოცხადებული ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი ქუთაისიდან, სერიოზული ლაფსუსი დაუშვეს ერთ-ერთი კონცერტის წინ უხერხული და უადგილო გამოცხადებით, ხოლო ახლახან ასეთივე...

...საკითხებზე.

...ჯერ კიდევ ერთ საკითხზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. ამ ბოლო ხანს საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად რამდენიმე სერიოზუ...

ხუთი წელია ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების სამანქანო დარბაზის ოპერატორად მუშაობს კომკავშირელი ნაირა ხიზარულიძე. ამ ხნის მანძილზე მან ისე აითვისა ოპერატორის საქმე, რომ თავის პროფესიაში ერთ-ერთი საუკეთესო გახდა.

ა. საპუოვის ფოტო.

იდეოლოგიური მუშაობა: გამოცდილების მისამართები

მუშათა ბრიგადების კომისრები

ადმინისტრაციის ბრძანებით კი არა, წარმოების მუშაკთა წინადადებით ქინვალის კომპლექსური ბიუროკავშირის მშენებლობაზე მეიქმნა საუბნო იჯარის მეთოდით მომუშავე კიდევ ერთი ბრიგადა. თავისი ამხანაგების იდეა დაასაბუთა პოლიტორგანიზატორმა, მებეტონემ ანდრია ქიმაძემ.

...

«მთლში» — სამანქანო დარბაზში, წყალსატარი გვირაბის გაყვანაზე, სხვა უბნებსა და ობიექტებზე. და ყოველივე ამის მიღმა დგას პოლიტორგანიზატორების — მუშათა ბრიგადების კომისრების დიდი შრომაც.

ა. კოჩეტკოვი,
საქინფორმის კორ.

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყებიან, რომ სსრ კავშირის 1985 წლის სახელმწიფო პრემიებზე მოსაპოვებლად ნაშრომების მიღება მთავრდება 1984 წლის 15 დეკემბერს.

სტატიის საფუძვლად დაედო ამხ. გ. ნ. ენუქიძის გამოსვლა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებულ პლენუმზე მიმდინარე წლის 12 ნოემბერს.

რატომ გაუჭირდა თევზ-ჭერის სამმართველოს?

ბათუმის სახელმწიფო საწარმოების მუშაობის ნათელი სურათი რომ ვიქონიოთ, საკმარისი მოვიშველიოთ რამდენიმე ციფრი: განვლილ 9 თვეში გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 7 მილიონამდე მანეთის პროდუქცია.

„ნის" მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი. ამ საქმის მასალებზე დაურთვნობით მომზადებულ პუბლიკაციას დღეს „კომუნისტის" მკითხველებს ვთავაზობთ.

აჭარის თევზჭერის სამმართველო ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა. რეწვის სეზონში მის საწარმოებში დასაქმებულია 1200-მდე კაცი. ბოლო წლებში გაიზარდა ძირითადი ფონდები. ამუშავდა ახალი საამქროები, რომლებიც აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით. სამმართველოს, ახალი ნაგებობებისათვის ტერიტორია რომ არ ეყო, ზღვას გამოსტაცა 5 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. გამოთავისუფლებულ ფართობზე გამართეს თევზის მიღების დამარილების რამდენიმე ნაკადური ხაზი. წინათ თევზის შესაბამის საამქროში დღე-ღამის განმავლობაში 12 მეტრ 500 კილოგრამ თევზს თუ ბოლავდა, ახალი მექანიკური ხაზი ახლა ათჯერ მეტს ბოლავს...

პარტიული ცხოვრება:
- კომუნისტები და ეკონომიკა
- ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ეფექტიანობა დაბალია

ენთუზიაზმი საჭიროა ბოლომდე

ყალბი და მკრეხელი კამპანია

გავითვალისწინოთ ვაჭრობის კონიუნქტურა

14 ნოემბერი

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები, საკდესი იუწყება

საქართველოს გამოფენის წარმატება

ღირსეული აღიარება

საბჭოთა საკაჭრო გემები კუბის რესპუბლიკის მთავარი სანავსადგურო — ჰავანის ნავსადგურის ხშირი სტუმრები არიან. მათ თავისუფლების კუნძულზე ჩააქვთ მოწყობილობა, ტექნიკა, სახალხო მოხმარების საქონელი.

სურათზე: საბჭოთა გემის „ანატოლი ვასილიევის" კაპიტნის პირველი თანაშემწე ა. პოტაპოვი (მარჯვნივ) და ბოცმანი ი. ზელიაკოვი (ცენტრში) ესაუბრებიან ჰავანელ დოკერებს. საბჭოთა მეზღვაურებმა დედაქალაქის ნავსადგურში ჩაიტანეს ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ტექნიკა.

ბ. ნადეჟდინის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

რეიგანი რეიგანის წინააღმდეგ?

დანიელ ორტეგა ნიკარაგუის პრეზიდენტია

მანაგუა, 14 ნოემბერი. (საკდესი). ნიკარაგუის უმაღლესმა საარჩევნო საბჭომ რესპუბლიკის პრეზიდენტად ოფიციალურად გამოაცხადა ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს კოორდინატორი დანიელ ორტეგა. მას 4 ნოემბრის გამართულ არჩევნებში ხმა მისცა ამომრჩევლთა 67 პროცენტმა...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავისათვის" „საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ხალხური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისა და მისი ფართო პროპაგანდისათვის საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავს" მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის" საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 12 ნოემბერი.

საბჭოთა ლიტერატურის დღეები აფხაზეთში

საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების პოეზია დაიბიჯებს აფხაზეთში. აფხნის მიწა-წყალზე გაისმის ლექსები რუსულ, აფხაზურ, ქართულ, უკრაინულ, ყირგიზულ, ესტონურ, ლატვიურ ენებზე. საბჭოთა ლიტერატურის დღეები ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ოქტომბრის მაცოცხლებელი სხივებით შობილი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ძმობის მძლავრ ძალად იქცა.

საკავშირო ლიტერატურული დღესასწაული მდიდარის მოვლენებით. და თითოეული მათგანი სამუდამოდ დარჩება მის მონაწილეთა მეხსიერებაში.

ოჩამჩირის რაიონი, სოფელი მოქვი, 1984 წლის 13 ნოემბერი

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში წვიმს, — მთელი სოფელი გამოვიდა, რათა შეეგებებოდა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებს. სტუმრებით სავსე მანქანები ჩერდება სოფლის გ. ჭანბას სახელობის საშუალო სკოლასთან. სკოლის ეზოში გაიმართა მიტინგი, რომელზეც პედაგოგები და მოსწავლეები გულთბილად და გულითადად მიესალმნენ ცნობილ პოეტებსა და პროზაიკოსებს, წაიკითხეს მათი ლექსები. მიტინგის მონაწილეებს მიმართეს საბჭოთა მწერლების დელეგაციის ხელმძღვანელმა ი. ვორონოვმა, პოეტებმა რ. ამაშუკელმა და ე. ევტუშენკომ.

ჩლოუ მასპინძლობს სტუმრებს

ურთულოდ ლამაზად გამოიყურება ამ შემოდგომის დღეებში ჩლოუ. სოფელი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ბევრი ხალხური ლეგენდა და თქმულება. ერთი მათგანის თანახმად, აქ დაიბადა აფხაზი პრომეთე — აბრსკილი. სოფელმა აფხაზეთს შესანიშნავი პოეტები და მხატვრები მისცა. იგი განთქმულია თავისი მშრომელებით — მეჩაიეებითა და მეციტრუსეებით. მათ სიამაყით მოახსენეს ამ დღეებში მწერლებს, რომ ოთხ წელიწადში შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი, ხოლო წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 3550 ტონაზე მეტი ხარისხიანი ჩაის ფოთოლი. ინტერნაციონალური კოლმეურნეობა, რომელიც აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილის ნესტორ ლაკობას სახელს ატარებს, ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე მეურნეობაა. აქ ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ აფხაზები, რუსები, უკრაინელები, ქართველები...

დიდი სამამულო ომის წლებში აქედან სამშობლოს დასაცავად წავიდა 500 ახალგაზრდა, რომელთაგან 300 მამაცურად დაიღუპა. ეს ჩლოუელთა ტკივილი და ხსოვნაა, მაგრამ ამავე დროს მათი სიამაყეც არის. დაუვიწყარია გმირთა სახელები, რომელთა ვაჟკაცურ საქმეებზე მოხუცები მოუთხრობენ თავიანთ შვილიშვილებს, მასწავლებლები — მოსწავლეებს.

ჩლოუ ამაყობს აგრეთვე თავისი მკვიდრით — აფხაზეთის სახალხო პოეტით ბაგრატ შინკუბათი, რომელსაც ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ურთიერთობა თანასოფლელებთან. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მას ხშირად მიმართავენ რჩევისა და დახმარებისათვის.

აფხაზეთში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეებთან შეხვედრის ყველა მსურველი ვერ დაიტია შესანიშნავმა ახალმა კულტურის სახლმა, რომელიც ადგილობრივი კოლმეურნეობის მოგების ხარჯზე აშენდა. მძლავრმა დინამიკებმა მთელ გარემოს მოჰფინეს ამაღელვებელი სიტყვები ხალხთა მეგობრობაზე, ლიტერატურის როლზე მშრომელი კაცის ცხოვრებაში. კარგად თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ლოგუამ:

— აფხაზ გლეხს, ოდითგანვე რომ უყვარდა წიგნის კითხვა, საშუალება მიეცა ფართოდ ეზიაროს ლიტერატურას — აფხაზურსაც და თარგმნილსაც. გვინდა ვიცოდეთ და ვიცით კიდეც, როგორ ცხოვრობენ ჩვენი ძმები —მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელები. ჩვენ მხვნელ-მთესველი ხალხი ვართ და კარგად ვიცით მიწის სატკივარიც და მისი მადლიც. ვიცით ისიც, რომ მიწა წყენას არ გვაპატიებს. თითოეულ ჩვენგანს სურს, რომ მთელ პლანეტაზე ყვაოდეს და ნაყოფს იძლეოდეს მიწა. ამისათვის მეგობრობა და ურთიერთგაგება გვჭირდება. და ვინ, თუ არა მწერალი, უნდა მიგვიძღოდეს წინ ამ კეთილშობილურ საქმეში? ამიტომ განსაკუთრებით გვიხარია თქვენი ჩამობრძანება, გვიხარია ის, რომ შეხვედრების ერთ-ერთ ადგილად აირჩიეთ ჩვენი სტუმართმოყვარე და ბარაქიანი მიწა...

ჩლოუელებს მიესალმნენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. ვორონოვი, ჟურნალ „მოლოდაია გვარდიის" მთავარი რედაქტორი ა. ივანოვი, მწერალი გ. ხუხაშვილი. დამსწრენი სულგანაბულნი ისმენდნენ პოეტების შ. ნიშნიანიძის, ე. ევტუშენკოს, გ. გუბლიას, შ. კრულოს, კ. კალაძის, კ. ბებიას, ა. ჯონუას, ი. შოგენცუკოვის, მ. ლასურიას, პ. რეზოის და სხვათა გამოსვლებს.

მეგობრობა მუშური სიტყვაა

აფხაზეთისადმი, მისი სახელოვანი შვილის ბაგრატ შინკუბასადმი მგზნებარე სიყვარულის გამოხატულება იყო პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექს-ექსპრომტი.

— ჩლოუელებო, — თქვა შეხვედრაზე ბ. შინკუბამ, — მოხარული არიან, რომ საბჭოთა მწერლების ახლანდელი შეხვედრა მიმდინარეობს მათ სოფელში, სადაც ოდითგან უყვართ სტუმრები და განსაკუთრებით ისეთები, რომლებსაც ნათელი და სილამაზე მოაქვთ თან. ჩვენი ცხოვრება გაცისკროვნებულია სწორედ ასეთი ნათელით — ხალხთა ლენინური მეგობრობის ნათელით, და ყოველი ჩვენგანის ღირსების საქმეა განვამტკიცოთ და განვავითაროთ ეს მეგობრობა. მეგობრობა მუშური სიტყვაა. იგი გულისხმობს საქმეს, რომელიც სრულდება საერთო, ერთიანი ძალისხმევით, ერთმანეთის ლიტერატურების თარგმნით, გამოცემით, ახლო ურთიერთობით, ლიტერატურის პრობლემების განხილვით. ჩლოუში გამართული შეხვედრა, ეჭვი არ არის, შესანიშნავ ნაყოფს გამოიღებს, — თქვა დასასრულ ბ. შინკუბამ. — შეიქმნება ახალი ნაწარმოებები, დაიწერება ბევრი ახალი ლექსი — კარგი და მრავალფეროვანი.

მოქვსა და ჩლოუში გამართულ შეხვედრებს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კობახია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უბილავა, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. (საქინფორმი).

● ●

სურათზე: დგანან ერთად დიდი მწერლები მაქსიმ გორკი, გალაკტიონ ტაბიძე, დიმიტრი გულია. პოეტური ხული და რევოლუციური შემართება ანათესავებს ამ სამ სახელოვან პიროვნებას ერთმანეთთან. ამ შთაგონებით შექმნა ეს სკულპტურული კომპოზიცია საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ვიაჩესლავ ივანხამ და ამით გამოხატა რუსი, ქართველი და აფხაზი ხალხების მარადიული მეგობრობა.

ახალ სკულპტურულ კომპოზიციასთან თქვენ ხედავთ ავტორს ვ. ივანხას.

ბ. სოკოლოვის ფოტო.

ჭადრაკი

საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელიც ახლა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება, განსაკუთრებული მნიშვნელობის სპორტული ღონისძიებაა გახლავთ. მისთვის ყველგან საგანგებოდ ემზადებიან.

ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადა, ისევე, როგორც ქალთა 18 ნოემბერს სალონიკში იხსნება. ქალთა შეჯიბრება რიცხვით 26-ე გახლავთ. გადავხედოთ წინა ოლიმპიადების შედეგებს: 1927 წელი. ლონდონი —გაიმარჯვეს უნგრელებმა (18 მონაწილე), 1928. ჰააგა-უნგრეთი (17). 1930. ჰამბურგი-პოლონეთი (18), 1931. პრაღა-აშშ (19), 1933. ფოლკსტონი-აშშ (15), 1935. ვარშავა-აშშ (18), 1937. სტოკჰოლმი-აშშ (19), 1939. ბუენოს-აირესი —გერმანია (27), 1950. დუბროვნიკი-იუგოსლავია (16). არც ერთ ამ შეჯიბრებაში საბჭოთა მოჭადრაკეები არ მონაწილეობდნენ. ისინი ბრძოლაში 1952 წლიდან ჩაებნენ. აქედან მოყოლებული სსრ კავშირის მოჭადრაკეები იმარჯვებდნენ. 1976 წელს ჰაიფაში საბჭოთა მოჭადრაკეებს არ უასპარეზიათ და პირველობა მოიპოვეს აშშ-ს წარმომადგენლებმა, 1978 წელს ბუენოს-აირესში პირველნი იყვნენ უნგრელები. ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების რიცხვი ერთთავად იზრდებოდა და 1982 წელს ...

მიწვევით კონკურსზე

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო ორგანიზაციების გამგეობების მიერ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით საუკეთესო ლექციების გამოვლენის მიზნით გამოცხადებული კონკურსის დებულება

კონკურსის მიზანია გამოავლინოს ლექციები, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული ლენინური სამხედრო-თეორიული მემკვიდრეობის საკითხები, ნათლად აისახება სკპ და საბჭოთა მთავრობის მრავალმხრივი მოღვაწეობა ჩვენი ხალხისა და შეიარაღებული ძალების მობილიზაციისათვის გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის გასანადგურებლად, მკაფიოდ და დამაჯერებლად იქნება ნაჩვენები საბჭოთა მეომრების მასობრივი გმირობა, ნათლად გაშუქდება პარტიის გადაწყვეტილებანი და მითითებანი საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების შესახებ, მხილებული იქნებიან დიდი სამამულო ომის ისტორიის ფალსიფიკატორები.

...

ბარათაშვილი — აფხაზურად

უდიდესი ინტერესი

პაროლდ რემისტანი, მოსკოველი პოეტი

აფხაზეთში დიდი ხანია — 30 წელზე მეტია სისტემატურად ჩამოვდივარ იმიტომ, რომ ახე კარგად ვერსად ვერ ...

ლაპარაკობენ დღეების მონაწილენი

სამეცნიერო დარგებში

გამომცემლები მეცნიერების სამსახურში

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

სიახლენი მოძრაობის უსაფრთხოებისათვის

კლასიკას და თანამედროვეობა

ჩემპიონის ტაიმ-აუტი

მოსკოვი

15 ნოემბერი

ჩვენს ეკრანებზე

თეატრი

15 ნოემბერი

თბილისი

რედაქტორი გ. ბიძინაშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434